საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030632545402917

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/2900 **05 / ივლისი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ „გარემო და ჯანმრთელობა“ უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობების დღის წესრიგში. გლობალურად მწვავე და ქრონიკული დაავადებების პრევენცია მოითხოვს უკეთეს გაანალიზებას, თუ როგორ მოქმედებს გარემოს რისკ-ფაქტორები ადამიანის ჯანმრთელობაზე, შესაბამისი და დროულია თუ არა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებები, ქვეყანაში შემუშავებული სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები ადამიანზე მოქმედი გარემოს რიკს ფაქტორების შემცირებისა და აღმოფხვრისათვის.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ეროვნული პოლიტიკის თანამედროვე მოთხოვნებმა განაპირობა ახალი „გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEHAP-2)“ შემუშავების აუცილებლობა, რომელიც საფუძვლად დაედება ეტაპობრივად, საქართველოში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გადაჭრას, სისტემური მიდგომის დანერგვასა და ეფექტური ქმედებების განხორციელებას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში -ცენტრი) მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი Twining GE22 **„გარემოს და ჯანმრთელობის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ შესახებ**, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ევროპული მიდგომების გათვალისწინებით სრულიად ახალი, გარემოს და ჯანმრთელობის სისტემის ჩამოყალიბება ევროკავშირში არსებული საჯარო სამსახურების შესაბამისად საქართველოში.

დღეისათვის, ქვეყანაში არ მიმდინარეობს გარემოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება, შემცირდა ჯანდაცვის სისტემის უფლებამოსილებები და მოვალეობები ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და ნაკლებ ადეკვატურად გადანაწილდა სხვა სექტორებს შორის ბოლო ათწლეულში გატარებული რეფორმების შედეგად, გარემოსა და ჯანმრთელობის კანონმდებლობასთან დაკავშირებული ნაწილი, გაძლიერების ნაცვლად გაუქმდა და შეჩერდა/გადაიდო.

ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ამჟამად, მიმდინარეობს საკანონმდებლო სივრცის ჰარმონიზება, რასაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი განმახორციელებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება/გაძლიერება. რაც გათვალისწინებულ იქნება და გადაიხედება პროექტის განხორციელების ეტაპებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ოსტრავაში გამართული გარემოს და ჯანმრთელობის მე-6 მინისტერიალზე მიღებული „ოსტრავას დეკლარაციის“ დანერგვა ქვეყანაში ურთულეს ამოცანას წარმოადგენს, სცილდება მხოლოდ ერთი სტრუქტურის უფლებამისლებას და საჭიროებს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივ ძალისხმევას და თანამშრომლობას.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანია ის სირთულეები, რომლის წინაშეც დადგება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში -სამინისტრო) ‘’ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის’’ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, იმის გამო, რომ არ ჩატარებულა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და ამ პროცესში ჩართულ მხარეებს შორის არ მიმდინარეობდა ინტენსიური დიალოგი. კანონის ამოქმედებით სამინისტრო დგება დიდი გამოწვევის წინაშე, ვინაიდან კანონის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსები და სტრუქტურა, ამ ეტაპზე არ არსებობს არც სამინისტროში და საკმაოდ მოკრძალებულია ეროვნულ ცენტრში.

აღნიშნული კანონით შემოდის ცნება „გარემოს სტრატეგიული შეფასების შესახებ“(სგშ) და სამინისტრომ უნდა შეითანხმოს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად ქვეყანაში მომზადებული სტრატეგიული სახის პროგრამები, გეგმები და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები; ასევე, უნდა დაიცვას პროცედურისთვის განსაზღვრული ვადები, განახორციელოს შესრულების მონიტორინგი. კანონის აღსრულებისას დაშვებული ხარვეზები ან არაჯეროვანი შესრულება სამომავლოდ აისახება მის ეფექტურობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კანონში ნათლად არ არის

განსაზღვრული და განაწილებული ვალდებულებები ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თუ მიზანშეწონილად მიიჩნევთ, გთხოვთ, სამინისტროში გაიმართოს სამუშაო შეხვედრა ცენტრისა და სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით, რათა მომზადდეს შეხვედრა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრების დონეზე.

წერილს თან ახლავს გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის ქართული და ინგლისური ვერსიები.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე